არამკაფიო მატრიცული თამაშების ამოხსნა

ფრიდონ დვალიშვილი

ელ. ფოსტა: pridon.dvalishvili@tsu.ge
კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტი, თსუ, XI კორპუსი

მატრიცულ თამაშებში, თამაშის მატრიცის ელემენტების ზუსტი მნიშვნელობების დასახელება პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ საჭირო ხდება მატრიცის ელემენტების არამკაფიო რიცხვების სახით წარმოდგენა. გარდა ამისა, ზოგჯერ შესაძლებელი ხდება მოწინააღმდეგის შესახებ გარკვეული პირადი, ფსიქოლოგიური მონაცემების მოპოვება. ასეთი ინფორმაცია, როგორც წესი არის არამკაფიო და იგი შეიძლება აღწერილი იყოს არამკაფიო ლინგვისტური ცვლადების საშუალებით. მოხსენებაში მოყვანილია არამკაფიო ინფორმაციის შემცველი ანტაგონისტური თამაშებისათვის არამკაფიო შერეული სტრატეგიების აგების მეთოდი. განხილულია რიცხვითი მაგალითი არამკაფიო ლოგიკის წესების გამოყენებით.